ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბრძანება

KA990132482882616

№ 2760 22 / სექტემბერი / 2016 წ.

სსიპ ქალაქ ხაშურის N 6 საჯარო სკოლის სარგებლობაში არსებული ამორტიზებული შენობის დემონტაჟის პროექტის შეთანხმების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N 57-ე დადგენილების „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ, 31-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე დადგენილების 65-ე მუხლის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის N 30 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების მე-6 მუხლის მესამე პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მშენებლობის ნებართვის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის სივრცითი მოწყობის და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის რეგულირების განყოფილების მიერ მომზადებული მასალების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. შეთანხმებულად ჩაითვალოს, სსიპ ქალაქ ხაშურის N 6 საჯარო სკოლის (დირექტორი თამარ ხადური) სარგებლობაში არსებული ამორტიზებული (N 2) შენობის (მდებარე ქ. ხაშური, ფალიაშვილის ქ. N 10, საკადასტრო კოდი 69.08.63.147, მესაკუთრე სახელმწიფო) დემონტაჟის პროექტი

2. ბრძანება ეცნობოს სსიპ ქალაქ ხაშურის N 6 საჯარო სკოლის დირექტორს;

3. ბრძანება ეცნობოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის სივრცითი მოწყობის და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის რეგულირების განყოფილებას;

4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლის განხორციელება უზრუნველყოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურმა;

5. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

6. ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. N15).

გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ზურაბ ჩხიტუნიძე